მუშის განთავისუფლება თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ძალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს, ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

მუშა

1 წ.	6 თ.	3 თ.	1 თ.	
მ.	მ. კ.	მ. კ.	მ. კ.	
5	2 50	1 25	— 50	ტფილისში.
6	3 —	1 50	— 60	ტფილ. გარ.
10	5 —	3 —	1 —	საზღ. გარ.

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10—ს. 2 ს.; საღამოს 5 ს. 7 საათ. ადრესი: თავ.-აზნაურობის სახლი, სასახლის ქუჩა., № 117.

№ 45 სამშაბათი, 1 აგვისტო, 1906 წ. თბილისი № 45

სპარსეთის შაჰმა უწყალობა ხალხს კონსტიტუცია. ოსმალეთის სულთანი ძლიერ ავად გამხდარა. ბერლინიდგან გამოუწვევიათ ცნობილი პროფესორი ქირურგი ბერგმანი ოპერაციის გასაკეთებლად.

საზოგადოების ავადმყოფობა და მისი ექიმების რეცეპტი.

დღემდის პროლეტარიატმა, მუშა ხალხმა იმუშავა, შექმნა ქვეყნის სიმდიდრე, მაგრამ ის ღარიბია თვითონ. დღემდის დამონებულები იწყებდენ აჯანყებას, მაგრამ როდესაც მისი აჯანყება გაიმარჯვებდა, მაშინ მისი მკლავით დაპყრობილი „პური და თავისუფლების“ პატრონი ხდებოდნენ ისინი ვინც არაფერს არ ჰქმნიდენ, და ბრძოლის და აჯანყების უნარს მოკლებული იყვნენ. მუშამ მთელი ქვეყნისთვის ტანსაცმელი დაამზადა, თვით შიშველი დარჩა; მუშამ მთელი ქალაქები, მთელი ქვეყნის სასახლეები ააშენა, თვით კი უსახლ-კარო დარჩა; მუშამ მთელი ქვეყნის ქუჩები და გზები დააკეთა, მაგრამ გზების პატრონი პოლიცია და ღიპიანი ბურჟუა გახდა; გლეხმა მთელი ქვეყნის საჭმელ-სასმელი დაამზადა, მაგრამ, თვით მუდამ მშიერია; მწარმოებელი დღემდი ამუშავებდა და წარმოშობდა ყველაფერს, რაც კი საჭიროა კაცობრიობისათვის, ბურჟუაზია და სახელმწიფო, როგორც ნამდვილი პარაზიტები იყრიდნენ და იყრიან თავიანთ გაუმაძღარ მუცელში მუშების ნამუშევარის თითქმის მრთელ ნაყოფს.

მოგროვდა საზოგადოებაში შედარებითი ტანჯვა, შიმშილი, უვიცობა, გაუნათლებლობა—მონობა პოლიტიკური, ეკონომიური და ზნეობრივი ერთი მხრით, მეორე მხრით მოგროვდა მდიდრები და სიმდიდრე, ფუფუნება, ლორ-ბუცლობა, პოლიტიკური და ზნეობრივი თავ-აშვებული გარყვნილება.

დამშეულები ეკონომიურად, პოლიტიკურად, გონებრივად და ზნეობრივად აჯანყდნენ ღღეს და იბრძვიან „პურისთვინაც და თავისუფლებისთვინაც“—**ეკონომიურ** და პოლიტიკურ **განთავისუფლებისთვის**.

მაგრამ მიუხედავად საზოგადოების ამგვარი, ავადმყოფური მდგომარეობისა, მიუხედავად აჯანყებულების მიერ, ქალაქში და სოფელში, **ეკონომიურ** და პოლიტიკურ უფლების **მოთხოვნისა**, მიუხედავად **აჯანყებულების** სურვილისა მტარვალების წინააღმდეგ იარაღით ბრძოლისა, დაავადმყოფებულ, შემდეგ სულთმობრძავ და ბოლოს გახრწნაში ჩავარდნილ წესწყობილებას გამოუჩნდენ ექიმები, რომლებიც სწერენ რეცეპტებს საზოგადოების ავადმყოფობისაგან განსაკურნავად, რეცეპტებს, რომლებითაც საზოგადოების ხსნას კადეტების, სოციალ-დემოკრატების და სხვა ჯურის ლიბერალური კრატიების დოქტორები ერთი მხრით ხედავენ „დუმაში“, პარლამენტში და მეორე მხრით ყოველი რეცეპტის უარის მყოფელნი.

პირველნი ავადმყოფთ უწერენ იმ რეცეპტს („დუმას“, „პარლამენტს“), აძლევენ იმ წამალს, რომელიც უკვე გამოსცადეს სხვაგან მთელი 40 წლის განმავლობაში და რუსეთში მთელი ორთავე ნახევარი სცადეს, მაგრამ ბოლოს მაინც სიმწარე, ოცნების გაცრუება და სიკვდილი გამოსცადეს.

როგორც სჩანს ორი თვის ცდა არ ეყოთ რუსეთში, რადგან თუ სხვაგან 40 წელიწადი არაფერს არ აკეთეს, რუსეთში, რაგასაკვირველია ას წელიწადსაც რომ არაფერი გააკეთონ მიეტევებათ, რადგან რუსეთი ყველაფერში „სამობიტნი“ უნდა იყოს.

მეორენი, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამგვარად მორჩენილი ავადმყოფი, რომელიც შეუპყრია ჩამომავლობითი სენს უნდა უსათუოდ მოკვდეს და რაც უფრო ადრე მოკვდება უკეთესია, ამიტომ ჩვენი „რეცეპტის“ ურეცეპტობა შესდება ან საწამლავის საკმაო დიდ დოზაში, რომელიც უნდა გადაყლაპოს დამპლებულმა საზოგადოებამ ან ისეთ ქირურგიულ ოპერაციაში, რომელსაც გადაურჩება არა ავადმყოფი სხეული, არამედ ავადმყოფ სხეულის საღი ნაწილები.

ალი.

ახალი ამბავი

— როგორც ქალაქში ხმები დადის კავკასიის პოლიციის ნაწილის უფროსი გენერალი შირინკინი სამსახურს თავს ანებებს.

— როგორც ქუთაისიდან გვწერენ, 27 ივლისს, შუადღის 1 საათზედ, ფერმის ქუჩაზე, 3 უცნობ შეიარაღებულ კაცს მოუკლავთ ოზურგეთის საზოგადოების მამასახლისი გიგო ფურცხვანიძე.

— ბაქოდან გვატყობინებენ, რომ იქ ამ დღეებში „სტუკენის და ამხანაგობის“ არტელჩიკს ივანე გრიგოროვს ძნოქარს მიხეილ მახარობლიძეს კონკით მინაქონათ ფული ქარხანაში მუშებისათვის დასარიგებლათ. როცა კონკიდან ჩამომხტარან 5.6 კაცს სილა შეუყრიათ თვალებში არტელშჩიკისათვის და გამოუტაცნიათ 1200 მან. შემდეგ თოფების სროლით გაქცეულან; იქვე მყოფი მუშები დახმარებიან პოლიციელთ და თავსდამსხმელები შეუპყრიათ. უნახავთ მხოლოდ 350 მ. დანარჩენი 850 კი ველარ აღმოუჩენიათ.

— ყვირილიდან გვატყობინებენ, რომ იქ ამ დღეებში საქარის სანერგეს თავს დასხმიან რამდენიმე შეიარაღებული კაცი. შესულან სანერგეს გამგის ბინაზე და მოუთხოვნიათ ფული. წაუღიათ 600 მ. სახაზინო ფული; აგრეთვე წაურთმევიათ იარაღი (ბერდანკა და რევოლვერი) დარაჯისათვის და მიმალულან. ორი თავდამსხელთაგანი უკვე შეუპყრიათ.

— როგორც ყაზახის მაზრიდან იუწყებიან, ამ დღეებში 7 შეიარაღებული ცხენოსანი თავს დასხმიან გუსეინ კასუმ-ოღლის, წაურთმევიათ 34 ძსხვილ-ფეხი საქონელი და მიმალულან.

თავდამსხმელები ყაზახის მაზრის მცხოვრებლებათ უცვნიათ.

— სენაკის მაზრაში, ს. ონოგაში 4 უცნობი შეიარაღებული კაცი თავს დასხმიან ლუკა გაბუნიას წაურთმევიათ 500 მ. და მიმალულან.

— იმავე მაზრაში, სოფელ ქვაუთში თავს დასხმიან კონსტ. ჩიქოვანს რამოდენიმე უცნობი კაცი; წაუღიათ ფული 140 მ. 2 ოქროს საათი, ოქროსივე ძეწკვი, ბეჭდები, და ბრასლეტი და შემდეგ მიმალულან.

— შორაპნის მაზრაში ს. შრომაში 10 შეარაღებული კაცი შესულა სოფელში და რამდენიმე გაუძარცავთ; დაუჭრიათ აგრეთვე რამოდენიმე მცხოვრები, მერმე გაყოფილან 2 ჯგუფათ, კიდევ დუქნები დაუძარცვავთ და მერმე მამალულან.

— თბილისის ნოქართა დამხმარე საზოგადოებამ სთხოვა ქალაქის გამგეობას დაუთმოს საზოგადოებას 3 მარიამობისთვეს 7 საათიდან საბჭოს დარბაზი. საზოგადოებას ამ დღეს წლიური კრება აქვს.

— ამ დღეებში ლორის მელიქოვის ქუჩაზე მოვაჭრე სანდრო კურტაულისათვის ვიღაც უცნობებს ანარქისტების სახელით მოუთხოვიათ 300 მანეთის დანიშნულ ალაგას მიტანა. წინააღმდეგ შემთხვევაში სიკვდილით დამუქრებიან. როგორც შევიტყვეთ ამ ჯგუფს ორგანიზაციასთან არავითარი კავშირი არ ჰქონია.

— 31 ივლისს, გაიფიცენ თათარი ნოქრები. მათ წარუდგინეს თავიანთ ალებს მოთხოვნილებანი; ზოგიერთმა ალებმა სამართლიანათ იცვნეს ნოქართა მოთხოვნილებანი და შეპირდენ დაკმაყოფილებას; უკანასკნელთა ქცევამ გამოიწვია გაფიცვა.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

ბ-ნო რედაქტორო, ნება მიბოძეთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „მუშაში“ დამითმოთ პატარა ადგილი, რომ პასუხი გავცე ვაჟბატონ გოდოგნელ მუშას, რომელმაც თავის წერილი, სათაურით: „ნიმუში ზოგიერთ ვაჟბატონ სოც.-დემოკრ. საქციელისა“ მოათავსა თქვენს გაზეთში. ამ წერილის წაკითხვის შემდეგ, რომელიც ტყუილებით, საზოგადოთ ტენდენციით, არის გაჟღენთილი, მე მოვალეთ ვსთვლი ჩემს თავს პასუხი გავსცე ვაჟბატონ და ცრუ გოდოგნელ მუშას და ამით მას კანონიერათ ენა დაუმოკლო. ამ პასუხით მე სრულებით არა მსურს თავი ვიმართლო ჯერ-ჯერობით გოდოგნელ მუშის წინაშე, არამედ შევეხები მის წერილს ფაქტიურათ და აღვნიშნავ თუ ვისი სახელით, რანაირ ფორმით და რა უფლებით ლაპარაკობს ის ჩემს შესახებ ამ წერილში. ამიტომაც ვყოფ მის წერილის შინაარს პუნქტებათ თავის შინაარსით და უპასუხებ თვითეულ პუნქტზედ. რაც შეეხება ჩვენს გასამარ-

თლებას ერთმანეთში მე, ვაჟბატონო გოდოგნელო მუშავ, მიმართავ სამედიატორო სამართალს, რამდენათ ან მე ან თქვენ მოვალე ვიქნებით ერთმანეთს მოვითხოვოთ პასუხი ჩვენი მოქმედების შესახებ, მე როგორც სოციალ-დემოკრატმა (თუმცა მე თქვენ ვერ მცნობილობთ სოციალ-დემოკრატათ) და თქვენ ერთხელ სოციალ-დემოკრატათ ნამყოფმა მუშამ და დღეს კი ანარქისტ მუშამ. ზოგიერთ პუნკტების შესახებ მე პრინციპიალურად წინააღმდეგი ვიქნები გიპასუხო და ზოგიერთ პუნკტების შესახებ მე თვითონ მოგთხოვ თქვენ პასუხს. წევრებათ სამედიატორო სამართლისა მე ვასახელებ კოწია ბაქრაძეს და სტუდენტს ვასილ ქოჩიაშვილს, გთხოვთ თქვენც დანიშნოთ ორი წევრი და ესენი თავის მხრით ამოირჩევენ თავჯდომარეს; რაც შეეხება დროის დანიშვნას მე მოგანდობთ თქვენ იმ პირობით რომ, ჩემი პასუხის დაბეჭდვის შემდეგ გაზეთ „მუშაში“, თქვენ ერთი კვირის განმავლობაში სურვილი ან ვარი განაცხადოთ სამედიატორო სამართალზედ, თორემ მე ამ ვადის შემდეგ ვსჩუბ გაზეთ მუშის კითხვის, რადგანაც უფრო ხშირათ ვკითხულობ სოციალ-დემოკრატიულ ორგანოებს, მაგალითათ, როგორც თქვენ იცით, მოგზაურს, სხივს, ლამპარს, სიმართლეს და სხვას (რასაკვირველია ქართულ გაზეთებს*) გადავდივარ

*) როგორც სჩანს პატივცემულ სოც.-დემოკრატს ყველა ქართულ გაზეთებში სიმართლის საუნჯეთ მიაჩნია მხოლოდ ლამპარი, მოგზაური და სხვა სოც.-დემოკრატიული გაზეთები. ნუ მოაკლოს ღვერთმა მაგგვარი საუნჯე. რედ. შენ.

ფილოსოფია

თანამედროვე მეცნიერება და ანარქიზმი.

(ბ. კროპოტკინისა.)

(გაგრძელება *)

VI.

უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ ამ შეცდომებში სპენსერი არ სდგას განცალკევებით. ის აზრი, ვითომ პირველყოფილი ადამიანები წარმოადგენდენ გროვას განმარტოებით მცხოვრებ მხეცებისას, რომელთა შორის გაჩაღებული იყო დაუცხრომელი ბრძოლა საკმლისა და ცოლებისათვის მანამდის, სანამ მათ არ მოევლინა კეთილისმყოფელი მთავრობა, გატარებულია ჰობსიდან მოკიდებული მეცხრამეტე საუკუნის მთელ ფილოსოფიაში. თითქმის ისეთი ბუნების მეტყველიც კი, როგორიც არის ჰექსლი, ანვითარებდა ჰობსის იმავე მტკიცებას, თითქოს თავდაპირველათ ადამიანების ცხოვრება იმას წარმოადგენდა, რომ იბრძოდა „თვითეული ყველას წინააღმდეგ“, სანამ დაბოლოს, თავის დროის, ზოგიერთ მოწინავე ადამიანების წყალობით, არ დამყარდა „პირველი საზოგადოება“ (ნახეთ მისი წერილი „ბრძოლა არსებობისათვის კანონია ბუნების“). მაშასადამე, ჰექსლიც კი ვერ ამჩნევდა, რომ კაცს არ შეუქმნია საზოგადოება. რომ საზოგადოებრივი ცხოვრება ჰქონდათ ცხოველებს ბევრათ უფრო ადრე, სანამ ადამიანი გამოტყვრებოდა ქვეყანაზე. ასეთია შესისხლხორცებული ცრუმორწმუნოების ძალა.

რომ თვალი გადავავლოთ ამ ცრუმორწმუნეობის ისტორიას, ადვილათ დავრწმუნდებით, რომ მისი ჩამომავლობა ეკლესიურ-სარწმუნოებრივია. გრძნეულ-კუდიანების და შამანების ფარული კავშირები პირველყოფილ ადამიანებს შორის, შემდეგში კი—ეგვიპტელი ქურუმები და ქრისტიანების მღვდლები ყოველთვის არწმუნებდენ ადამიანებს, რომ ისინი „სიბოროტესა შინა არიან“, და რომ მხოლოდ შამანის, ქურუმის და მღვდლის მოსარჩლეობას შეუძლია დათრგუნოს ბოროტი ძალა და არ მისცეს მას უფლება დაეპატრონოს ადამიანს, ან და თხოვონ შურისმგებელ ღმერთს, რომ მან არ მოუვლინოს კაცობრიობას სასჯელი ცოდვებისათვის. პირველყოფილი ქრისტიანობა ცდილობდა, თუმცა ღა ძალიან არა, გამოეთხარა ძირი ასეთი ცრუმორწმუნოებისათვის; მაგრამ ქრისტიანულმა ეკლესიამ, რომელიც იმოწმებდა თვით სახარების სიტყვებს „ცეცხლის გეენაზე“ და „ღვთისა რისხვაზე“, კიდევ უფრო გააძლიერა იგი. თვით წარმოდგენა ძე ღვთისაზე, რომელიც მოვიდა და მოკვდა „გამოსახსნელათ ცოდვათაგან“, საფუძვლად დაედვა ამ შეხედულებას. ტყუილა კი არ ყოფილა, რომ შემდეგში წმინდა ინკვიზიცია აყენებდა ადამიანებს უუსასტიკეს ტანჯვას და დაუყოვნებლივ სწვავდა მათ კოცონზე, რომ მიეცათ მათთვის შემთხვევა მოენანიებიათ თავისი ცოდვები და მოეხსნათ თავი მუდმივი წვალებისაგან. და არა ერთი კათოლიკური ეკლესია, არამედ ყველა სხვა ქრისტიანული ეკკლესია ეცილებოდა ერთი მეორეს ყოველნაირი სატანჯველის გამოგონებაში, რომ მოექციათ „სიბოროტესა შინა შთადარჩებათ *), თუ არა და მიმართეთ ისევ სოც.-დემოკრატიის პარტიას თქვენი საბუთებით და ხელი შეუწყვეთ მას დაიკონ თავის აგენტები; მანამდის კი პრინციპიალურად წინააღმდეგი ვარ და რასაკვირველია სამედიატორო სამართლის წინაშედაც მოვითხოვ, რომ ხელი აიღოთ ამ პუნქტზედ. ამ პუნქტის შესახებ მე შემიძლია მოვთხოვო სამედიატორო სამართალს, რომ პასუხი გამგებიოს, თუ რომელიმე აგიტატორი განურჩევლად პარტიისა, ან რაიონის წარმომადგენელი მე გავეცი.

მეორე პუნქტი. თქვენ ლაპარაკობთ: „მამა გოდოგნის სტუდენტისა ჯაშუშად იყო გამოცხადებული“. თქვენ უნდა იცოდეთ ყოველივე სიტყვას დამტკიცება უნდა; უნდა გესმოდეთ რა არის ჯაშუში და რეაქციონერი; თუ თქვენ სოც.-დემოკრატი იყავით, პარტიის გადაწყვეტილებას უსათუოთ წაიკითხავდით სოციალ-დემოკრატიის ფურცელზედ № 43—1905 წ., რომელიც ხელთ მაქვს, და ამოიკითხავდით, რომ მამა ჩემი ჯაშუშად კი არ იყო გამოცხადებული, არამედ ვითომც წინააღმდეგი ახალთაობისა სწორეთ იმ პირების წყალობით, (სოფლის წარმომადგენელი, ერთი ასის თავი და ერთი პროვოკატორი) რომლებიც, როდესაც გაძღებოდნენ საკურთხით (მღვდელს ხელი ააღებინეს საკურთხზედ) ქალებს იტაცებდენ თავის რაზმებით (ამ სოფელში ნამდვილი მობილიზაცია იყო რაზ-

*) ვაჰ, ვაჰ! თურმე ბრძანება გიმოსულა, რომ სოციალ-დემოკრატიის წევრთ არ შეეხოთ, როგორც მძლავრ ბიუროკრატიის წევრთ. რედ. შენ.

*) „ცილი „მუშა“ № 41

*) ლაყბობაზე არც ეს ვაჟბატონი სოც. დემოკრატი, ავტორი ამ წერილისა, არ ყოფილა უკან ჩამორჩენილი, რასაც ეს მისი წერილი ამტკიცებს. რ. შ.

*) თურმე ნუ იტყვით. ანარქისტობა ორ გვარი დანაშაულობა ყოფილა: ერთი თეორეტიული და მეორე ზნეობრივი, როგორც სჩანს გზაც აგვბნევია და სიმართლესაც მოკლებული ვყოფილვართ; თქვენ პაწაწკინა კაცუნა თქვენ რაღა იმფუზორი ხართ! რ. შ.

***) ეს ვაჟბატონი ვიღაცაა უმაღლეს წარმოდგენასაც მოკლებულია და უდაბალესსაც. რედ. შენ.

*) ლაყბობაზე არ ეს ვაჟბატონი სოც. დემოკრატი, ავტორი ამ წერილისა, ...

ლების, როგორც ადგილობრივ ცხოვრებლების, ისე გარეშე პირე-ებს), თუმცა ისინი ემორჩილებო-ენ თავის უფროსებს შიშით და ...ა შეგნებით (გამოძიების დროს ...ანაცხადეს, რომ მათ უფროსებმა ...ლა დაატანეს და ჩვენ მართლა ...ოდათ მოვიქეცითო). საზოგადოთ ...ოგიერთმა პირებმა მართლაც შე-...ქმნეს ადგილობრივი ბიუროკრატი-...ული მმართველობა: სუდების დროს ...უდიებს თვითონ ნიშნავდნენ წინა ...ღით და მეორე დღეს ეს სუდიე-...ათ მათგან ამორჩეული პირები ...ეკვლნენ საქმეს და სხვა ამისთა-...ნებს სჩადიოდნენ; ერთი სიტყვის ...ამოღება არ შეეძლო კაცს, თუ მა-...თ ნება არ იქნებოდა. ხალხმა ბევ-...რი ითმინა და ერთ დროს, როდე-...საც საერთო კრება იყო გელათში ...სოფელ გოდოგნის მცხოვრებლების ...და აგრეთვე გელათის მცხოვრებლე-...ბის მოსალაპარაკებლათ სახელმწიფო ...ტყის შესახებ, რაზედაც მათ დავა ...ქონდათ, მათ ე. ი. გოდოგნის ...მცხოვრებლებმა მიმართეს მქადაგე-...ბელს შემდეგი სიტყვებით; ბატო-...ნო მქადაგებელო, სათქმელი გვაქვს ...ბევრი, მარა გვეშინია და შიშს ჩვენ-...სას. შეადგენს წარმომადგენელი თა-...ვის კამპანიით. გარდა ამისა თქვენ ...უნდა იცოდეთ, როგორც სოციალ-...დემოკრატიის მუშამ, ერთ დროს ...თქვენც სოციალ-დემოკრატი იყავით ...რომ მამა ჩემის საქმე სოციალ-დე-...მოკრატების აგენტმა (1 ფურცელი № 43 სოციალ-დემოკრატიის იყო) ...გამოიძია ეს საქმე ადგილობრივ ...ხალხის შეკითხვის საშვალებით, იმ ...დროს როდესაც მთავრობამ ყოვე-...ლივე ძალა დაკარგა და ხალხს ჩვი-...დმეტ ოქტომბრის მანიფესტით

...თხვა სახელმწიფოსი. თუ ადამიანე-...ბი ექვს შეიტანენ ზნეობის ასეთ ...დანერგვის საჭიროებაში, ისინი ...ექვს შეიტანენ აგრეთვე თავის მმა-...თველების უზენაეს მისსიაშიაც.

ამნაირათ, ყველაფერი—სარწმუ-...ნოებრივიც, ისტორიულიც, უფ-...ლებრივიც, ჩ ჩვენი საზოგადოებრივი ...აღზრდაც,—გაჟღენთილია იმ აზრით, ...რომ თუ ადამიანი გაუშვი თვის ...ნებაზე, ის უსათუოდ შეიქმნება ...ზნეცი; რომ ადამიანებს არ ჰყავდეთ ...მთავრობა, ისინი უეჭველათ ერთი-...მეორეს დასჭამდენ; სიმხეცისა და ...თვითეულის ყველას ჭინააღადეგ ...ბრძოლის გარდა არაფერს არ უნდა ...მოველოდეთ „ბრბოსაგან“. ის და-...იღუპებოდა, რომ მას არ უფრო-...სობდენ რჩეულნი, მარილნი ქვეყ-...ნისანი — პოლიციელი, ჟანდარმი, ...ჯალათი,—რომლებიც ხელს უშლიან ...ამ საერთო წეწვა-გლეჯას ყველას ...წინააღმდეგ, ასწავლიან ადამიანებს ...კანონის სიწმინდით პატივცემას, ...სწვრთნიან მათ დისციპლინით, და თა-...ვისი ბრძნული გოგრით მიერეკებიან ...მათ იმ დროისაკენ, როცა საუკე-...თესო აზრები დაიბუდებენ „ადამიან-...თა უხეშ გულში“, და მათრახი,

...ალებულ ...ალ ...ალ ...ალ

ფხულზედ სახელმწიფო მიწებს არიგებდენ გოდოგანში. მე დაგიმტკიცებთ, რომ ბევრმა იმისთანებმა მიიღეს სახაზინო მიწები, რომლებსაც თავისი ბევრი **) ქონდათ და თუ თქვენ მიწა არ გქონდათ და იძულებული იყავით მაინც და მაინც ჩემს მიწაზედ გემუშავნათ მიწის უქონლობის გამო, აიღებდით თქვენც თქვენი ამხანაგებსავით სახელმწიფო მიწებს და ისე მშვენიერად დაიმუშავებდით, როგორც სხვები მოიქცენ, მაგრამ აქ რაღაც მიდრეკილობას ვხედავ თქვენში. შეშაც ბევრი გაქვთ სახელმწიფო ტყეში, საიდგანაც ყოველ პარასკეობით სამოც ურმამდის გაზოაქვთ თქვენს ამხანაგებს, რომლებიც გზასაც ნახულობენ და მიაქვთ ქუთაისში გასაყიდლად, თუმცა მე სოციალ დემოკრატი მივსცემ ნებას გლეხ მუშას ისარგებლოს სახელმწიფო ტყით, რომელთანაც მას საჭიროება აქვს ოჯახში (დასაწვავათ, ღობეთ, ხარდნათ და სხვა) და არა მოსწრებით ისარგებლოს და ქუთაისში ყიდოს ორი სამი ურემი, როდესაც მისი ამხანაგები ვერ ბედავენ სახელმწიფო ტყის მოჭრას და ამით სარგებლობენ ზოგიერთები. აი საშვალება, რომლიითაც თქვენ შეგიძლიათ ჩემი შეშით არ ისარგებლოთ. თუ რამე საქმე გაქვთ ჩემთან, თქვენ შეგიძლიათ მომმართოთ მე და მე დიდის პატივისცემით პასუხს გავცემთ თქვენ და თქვენს ამხანაგებს. იმედია ჩვენ ერთმანეთში მოვრიგდებით ოფიციალურად და არ მივმართავთ არავითარ ფარულ საქმეს. ჩემი პასუხი თქვენდამი იმნაირი ტენდენციით არის გაჟღენთილი, როგორც თქვენი, თუმცა ტყუილებს ადგილი არა აქვს. პასუხის გაცემა მეც კარგად ვიცი მხოლოდ ოფიციალურად და არა დამალულად. ვთხოულობ თქვენგან პასუხს. ნამდვილი პასუხის გაცემა შემდეგში იქნება.

**) აკი ამბობთ რომ სოც.-დემოკრატია მეფობს გოდოგანშიო! ძლიერ გლახად უმეფია, თუ ამგვარი უსამართლობა სუფევს მისი გამგეობის დროს. რედ. შენ.

დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტო).

—

ვარშავა. ქელეზნი ქუჩაზედ პოლიციელნი ცდილობდნენ დაეპატიმრებიათ ორი შენიშნული პირი, რომელთაც გაპარვა მოასწრეს. პოლიციელებმა ასტეხეს სროლა. შემთხვევით მოჰკლეს მოხუცებული.

— მარშალკოვსკი ქუჩაზედ, ჯარის კაცები სჩხრეკდნენ გამვლელ-გამომვლელს. ბევრი დააპატიმრეს.

კიევი. ლავრის მორჩილებს, რომელნიც დაბრუნდნენ შორეულ-აღმოსავლეთიდგან დაურიგეს რევოლვერები, მონასტრის დასაცავად.

ვენა. კონსტანტინოპოლიდგან იუწყებიან, რომ სულთანი სამი კვირაა რაც ავად იმყოფებაო.

— დიპლომატიურ წრეებში დადის ხმები, რადგანაც კრიტის მართველი მეფის ძე გიორგი ანებებს თავს სამსახურს, დიდ-სახელმწიფოებმა კრიტის მფარველებმა გადასწყვიტეს, რო ნება დართოს კრიტელებს, აირჩიონ გენერალ-გუბერნატორი, კრიტთა პალატამ ან არა მოხდეს არჩევნები პლებისციტით.

მოსკოვი. საღამოს მეცხრე საპოჩტო განყოფილებას—ტვერის ქუჩაზედ, დაეცნენ ორი ბოროტ-მოქმედნი, შეჰკრეს უფროსის ცოლი, გაიტაცეს ფული და პაკეთები და მიიმალნენ.

ბერლინი. პროფესორი ბერგმანი, ოსმალეთის სულთანის მიერ გამოწვეულია ოპერაციის გასაკეთებლად.

ტვერი. აგრარული მოძრაობა გაძლიერდა ტვერის და ნოვოტორჟსკის მაზრებში.

დვინსკი. უცნობნი პირნი დღით შეცვივდნენ გლუსკინის სტამბაში და დაბეჭდეს პარტიის მანიფესტი.

ოდესსა. რიაზანიდგან მოსულ თამარ პრინცს, „პეტერბურგსკაია გოსტინიცი“-დგან გამოსვლის დროს, დაუვარდა რედიკული ყუმბარით. ფითილა გასქდა. პრინცი შევარდა სასტუმროში და თავი მოიკლა. გამოძიება სწარმოებს. პოლიცია დაეძებს პრინცთან მოსულ ახალგაზდა კაცს. ჯარების მთავარ-სარდლის კაულბარსის ქალმა იცნო გარდაცვალებული, იგი სწავლობდა მასთან ერთად. ის ქალი გენერალ-ლეიტანტ, მოძრაობის უფროსისა ვარშავაში თამარა პრინც. მის ქაღალდებიდგან სჩანს რომ იგი ეკუთნოდა სოციალ-რევოლუციონერების პარტიის მფრინავ რაზმს და მოსულიყო ოდესსაში გენერალ კაულბარსის მოსაკლავად მასთან მოსული გოლუბკინი. მიიმალა.

როსტოვი-დონზედ. 28 ივლისს ღამე გლიხოვსკის სტანციაში, შეიარაღებული ბოროტ-მოქმედინი დაეცნენ ფესენკოს ბინას, მოჰკლეს იგი გაიტაცეს 25 000 მანეთი, დოკუმენტები, ბილეთები და მიიმალნენ.

კიევი. მებულკების გაფიცვის მეთაურნი, გადაასახლეს ქალაქ კიევიდგან და მის მაზრიდგან.

ორიოლი. სელეცის მაზრაში, ხრუშჩენკოს მამულში, გლეხებმა აგიტატორის ზედგავლენით დასწვეს ძნა. დაიწვა ოთხი ათასზედ მეტი კონა.

ლოძი. ლაძი. პეტროკოვის ქუჩაზედ. უცნობმა პირებმა მოჰკლეს პოლიციელი.

იაროსლავი. გაცარცვეს ეკლესია სოფელ პრავდინოში.

თეირანი. შაჰმა უწყალობა კონსტიტუცია. ხალხი აღტაცებულია.

რედაქტორ გამომცემელი

მიხეილ დიასამიძე.

განცხადებანი.

რედაქცია სთხოვს ყოველგან ამხანაგებს თანა-მოაზრეთ და იმათ, ვინც თანაუგრძნობს გაზეთის მიმართულებას, გაუწიოს ენერგიული დახმარება: ეკონომიური და იდეური კოოპერაცია გაზეთის გამოცემის საქმეს: საღამოების გამართვით, სპექტაკლის დადგმით, ხელის მოწერის გამართვით, და რეფერატებით.

ვთხოვთ პროვინციებში გაფანტულ ამხანაგებს ხელი შეუწყონ გაზეთის გავრცელებას, მოგვაწოდონ წერილები და კორესპოდენციები.

ამით სამუდამოთ აკანონებდა მონობას, დედა-კაცს კი ათანასწორებდა მონასთან და სატვირთავ პირუტყვთან. „გიყვარდეს მოყვასი შენიო“, ამბობდა შემდეგ ქრისტიანობა, მაგრამ იქავე უმატებდა ბაგითა პავლე მოციქულისათა: „მონანი ჰმორჩილებდენ უფალთა თვისთა“ და „არა არს მთავრობა, თუ არა ღვთისათაო“; ამით აკანონებდა საზოგადოების ბატონებათ და მონებათ გაყოფას და გუნდრუკს უკმევდა რომში გამეფებულ საზიზღარ ვიგინდარების ძალა-უფლებას.

ამასავე ვხედავთ ჩვენ ესრეთ-წოდებულ „ბარბაროსების“ კანონებში, ესე იგი რომის უღლისაგან განთავისუფლებულ გალლების, ლონგობარდების, ალლემანების საქცების კანონები (იაროსლავის „Рус. Прав.“ ეკუთვნის კანონების იმავე წრეს *). ისინი აკანონებდენ, თქმა არ უნდა, მშვენიერ ჩვეულებას, რომელიც მაშინ მყარდებოდა: ვნების მომტანი და კაცის მკვლელი საფასურს იხდიდა, იმის მაგივრათ, რომ მისთვის სამაგიერო გადაეხადათ, სიკვდილი სიკვდილითვე ეზღოთ, ანუ როგორც ამბობენ ძველათ, „სისხლი აეღოთ“ (თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ, წყლული წყლულისა წილ, სიკვდილი სიკვდილისა წილ). მაგრამ ისინი იქავე აკანონებენ და სამუდამოთ ამტკიცებენ თავისუფალ ადამიანების კლასებათ დაყოფას, რომელიც ის ის იყო ისახებოდა. ასეთი საფუსური („სისხლის ფული“), ამბობენ ისინი, მონისათვის, ასეთი — თავისუფალი კაცისათვის, ასეთი რაზმელისათვის, და ასეთი კი (რაიცა ეთანასწორებოდა საუკუნო მონობას) თავადისათვის. პირვანდელი აზრი კი, რისაკვირველია, ის იყო რომ თავადის ოჯახს, რომელიც ბევრად უფრო მეტს ზარალობდა, როცა ჰკარგავდა უფროს, ვიდრე ჩვეულებრივი თავისუფალი ადამიანის ოჯახი, უნდა მიეღო მეტი დაჯილდოება. მაგრამ კანონი, რომელმაც გამოჰხატა გარეგნულათ ჩვევულება, აკანონებდა ადამიანების გაყოფას უკუნითი უკუნისადმე, და აკანონებდა მას ისე, რომ დღესაც, ათასი წლის შემდეგ ვერ მოგვიშორებია თავიდან იგი.

და ასე მოდიოდა ის ყველა საუკუნოების საკანონმდებლო გზით; ამასთანავე წინა ეპოქის ძალმომრეობა გადმოდიოდა კანონის ძალით ახალ საზოგადოებაში, რომელიც შენდებოდა ძველის ნანგრევებზე; სპარსიის სამეფოს ძალმომრეობა გადმოეცა საბერძნეთს, მაკედონელთა სამეფოს ძალმომრეობა — რომს; რომის იმპერიის ძალმომრეობა და სისასტიკე კი ეძლევა საშუალო საუკუნოებში აღმოცენებულ სახელმწიფოებს.

ყოველგვარი საზოგადოებრივი გარანტია, მთელი შინაური ცხოვრება ტომის, თემისა და ხალხური მართვა-გამგეობისა (რესპუბლიკა—ქალაქები) საშუალო საუკუნოების პირველ ხანებში; სახალხთაშორისო და შემდეგი საქალაქთაშორისო ურთიერთობათა ყველა ფორმები, რომელთაგანაც მერმე შემუშავდა საერთაშორისო უფლება; საურთიერთო დახმარების და მშვიდობიანობის დაცვის ყველა ფორმები, აგრეთვე სამსაჯულოც, შემუშავდა უსახელო ხალხური შემოქმედებით; მაშინ როდესაც ყოველნაირი კანონი, რაიც კი დაწერილა როდისმე დღევანდლამდის, სდგებოდა იმავე ორი ელემენტისაგან: ერთი ამაგრებდა და სჭედდა ცხოვრების ფორმებს, რომლებიც ყველასაგან ცნობილი იქნებოდა როგორც სასარგებლო; მეორეს მიზანი კი იყო დაემყარებია ბატონის, მხედრის, თავადის და მღვდლის ძალა-უფლება, გაემაგრებინა და ეკურთხებინა მათი ბატონობა.

ამ დასკვნამდის მივყევართ ჩვენ ადამიანის საზოგადოებათა განვითარების მეცნიერულ შესწავლას, რაზედაც მუშაობდა უკანასკნელი ოცი თუ ოცდაათი წლის განმავლობაში მრავალი კეთილ-სინდისიერი მეცნიერი. მართალია, ისინი ვერ ბედავდენ გამოეთქვათ ისეთი ერეტიკული აზრები, როგორიცაა ზევით მოყვანილები, გარკვეულ ფორმაში, მაგრამ ამ დასკვნებამდის მიდის ყოველი დაკვირვებული მკითხველი, როცა ეცნობა მათ თხზულებებს.

ან—შინ.

(გაგრძელება იქნება).

*) აქვე შეგვიძლია მოვიხსენიოთ მეფე ვახტანგის კანონებიც, რომელთაც ისეთივე გენეოლოგია აქვთ, როგორც ყველა სხვა „კანონებს“.

მთარგმნელი.

ელექტრონის სტამბა „გუტენბერგის“, სასახლის ქუჩა, სახლი ქარ. თავ.-აზნაურობის.